# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 21. სამშაბათი, 1 იანვარი 1902 წ. გაზეთის № 1686.




ახალი წელიწადი

## საახალწლო ეტიუდი

1

— ააუუუ, ააუუუ!...—წკნარის, სულ ნაზის ხმით გაჰკიოდა მშვიდი არსება წყვდიადში და კვალ-და-კვალ მისდევდა მეორეს, რომელიც მრისხანე სახით დასრიალებდა ცის სივრცეში.

გადიარეს მთა და ველი, ღრე და ტყე, მინდორი და მდინარე. ნაზი არსება განუწყვეტლივ გაჰკიოდა „ააუუუ, ააუუუ"-ს. მეორე კი მრისხანედ მისრიალებდა და ცდილობდა, რომ ერთ წამს მაინც ჩამოჰრჩენოდა არა მკითხე მდევარს.

გაჩუმებულ ქვეყნიერობას ამ ღამის წყვდიადში მრისხანეს აჩრდილიც კი ჟრუანტელს ჰგვრიდა ტანში. აგერ, ბელურა როგორ შეაჟრჟოლა, ან კიდევ ჩირგვის ძირში კურდღელი, იქ ღელეში კიდევ ხარ-ირემი, მშველი და სხვა გარეული ცხოველები და ფრინველები. ვინ მოსთვლის, რამდენი შეჟრჟოლდა მის თავ-გადავლაზე?!... მაგრამ ამავე დროს რა სიამოვნებას, რა ნეტარ სითბოს ჰგრძნობდნენ, როდესაც ამავე დროს წყვდიადში გაისმოდა ნაზი „ააუუუ, ააუუუ!" თითქოს მეორედ იბადებოდნენ ამ ხმაზედ...

— ხმას არ ჩაიკმედ?! – მრისხანედ დასჭყივლა ნაზ არსებას მეორემ, როდესაც პავლიაურს*) დაუპირდაპირდა, და წამს სოფლის განაპირა სახლისკენ ჩაიქშუილა.

ის იყო სოფ. პავლიაური მორჩა საახალწლო სამზადისს: ტკბილეულობა და სხვა სანოვაგე სამეკვლეო ხონჩებზე დაალაგა და ბარცაკლებზე თავები მიდვეს დასაძინებლად...

— ღმერთო! — ტანის თრთოლვით უნებურად წამოიძახა სოფელმა და წამს სუნთქვა შეუდგა. არაგვმაც კი ხმაურობა შესწყვიტა.

*) დუშეთის მაზრაში.

— ააუუუ, ააუუუ!.. — წამოიძახა ჩვეულებრივის მშვიდის ხმით მრისხანე ხმის პასუხად ნაზმა არსებამ, წინ უყელა და ბერიას სახლის კარებს აეფარა.

— ოჰ! — შვების ოხვრა ამოჰსკდა სოფელს. დაილოცოს შენი სამართალი, ღმერთო, ეს რა წამი იყო?!..

არაგვმაც ქუხილი მორთო და კიდეები აახმაურა.

მრისხანე სახემ გამხმარი ხელი ნაზ არსების მხარს გადუტარა და მაგრად დააკაკუნა...

II

— ааახ!..—უნებურად წამოიკვნესეს სახლში მყოფთ და სისხლის მოძრაობა შეუდგათ. შიშის ზარმა დაურბინათ ტანში. მელოგინეს ხომ გული წაუვიდა.

კაკუნი მეორედ გაისმა, მაგრამ პირველ კაკუნს არ ემგზავსებოდა.

მალამოდ მოჰხვდათ სახლში მყოფთ მეორე კაკუნი, და ბერიამ დაუძახა:

— შამოედ, ვინა ხარ?!

კარი გაჭრიალდა და მხრჩოლავ ლამპრის შუქზედ ერთი მოხუცებული ტყაპუჭაში გახვეული მანდილოსანი და მეორე კიდევ ტყავშივე გახვეული ახალგაზრდა ქალი გამოჩნდნენ.

— აუ, გიშველათ ღმერთმა, რო მაგვხედე, ჩემო საბედავ, თორა ე უბედური დღისა ლამისაა ხელიდან გამოგვეცალოს! — მიესალამა ბებია და მელოგინეს მიუბრუნდა, რომელმაც ამ დროს საშინლად წამოიკივლა.

— ბედშავი, ჯერაც არ განთავისუფლებულა? — გულმტკივნეულობით დაეკითხა მოხუცი და მელოგინეს მარჯვენა ხელი დაუჭირა.

ახალგაზდამ კი მარცხენა ხელს წაავლო და თავით ამოუდგა.



ქ. კარგარეთელისა
ბ. ჟიჟიანი
ბ. შათირიშვილი
ბ. გედევანიშვილი

ქ. აბაშიძისა
ბ. აბაშიძე

ქ. ჩერქეზიშვილისა
ბ. მესხიშვილი

ქ. გაბუნია
ბ. გუნია

ბ. სვიმონიძე

ქ. ლეჟავასი
ბ. მესხი
ბ. გამრეკელიძე
ბ. გამრეკელიძე

# 1901—1902 წ.

# ქართული თეატრი



— ეს მოხდა შარშან, სწორედ ამ დროს; უნდა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო, მე ვემსახურები საზღვაო სამინისტროში, სადაც ჩვენი უფროსები ძალიან ამაყობენ თავიანთ ბჭყვრიალა ტანისამოსით და ჩვენ, თავიანთ ქვეშევრდომებს, ისე გვეპყრობიან, როგორც უბრალო ზღვაოსნებს. ეჰ, რა კარგი იქმნებოდა, რომ ყველა უფროსები სამოქალაქო ტანსაცმელს იცვამდნენ!

მაგრამ, ამას თავი დავანებოთ. ჩემ მაგიდასთან ვიჯექი და ფანჯრიდან ვხედავდი ლაჟვარდ ცის ნაწილს, რომელზედაც სრიალებდნენ მერცხლები. გული აღარ მითმენდა, ვმჯდარიყავ ქაღალდების გროვაში. თავისუფლად ყოფნისა და გასეირნების სურვილი ისე გამიხცოველდა, რომ უფროსისადმი სიძულვილს აღარ მივხედე და ვსთხოვე წასვლის ნება მოეცა.

უფროსი იყო ერთი ბეწო, უსახიერო, მაიმუნის მსგ... ანჩხლი კაცუნია. მოვახსენე, რომ უქეიფოთ ვარ. შემ... სახეზედ და დამიყვირა:

— თუმცა მე თქვენი არა მჯერა-რა, მაგრამ მაინც ... შორდით თავიდან. იქნება, თქვენა გგონიათ ეს დაწესე... იმიტომ არსებობს, რომ მოხელეებმა არაფერი გააკეთონ?

მეც დაუყოვნებლივ გავწიე სენისაკენ, დარიც სწორ... ამისთანა იდგა, ჩავჯექ გემში და გავწიე სენ-ელუსაკენ.

ეჰ, ჩემო კარგო! როგორ დაუმადლიდი ჩემს უფრო... რომ სასტიკად მომქცეოდა და წასვლის ნება არ მოეცა!

მ.

(დასასრული იქნება)



თევზმა, გედმა და კიბომა,
ქირა აიღეს ძალიან ბლომად:
უნდა წაეღოთ ბარგი თემშია,
თვითონ შეებნენ შიგ ურემშია!

თევზი ეზიდავს მდინარესკენა,
კიბო უკან სწევს, გედი—ცისკენა...
არ იქნა საქმე ვერ მოაგვარეს
ურემი ცოტაც ვერ გააგორეს...

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბ...



ვაი ნაშრომო, ნაღვაწო, დარბაზო ქაღალდისაო,
გაშენებ—შენ კი იქცევი, თავ-ქვე მიდიხარ ძირსაო!

პროვინციიდან მიღებულ წერილების პასუხა...
ცხადებთ, რომ «მოამბე» «ცნობის ფურცე...
ერთად ღირს 11 მანეთი ქალაქ გარედ მცხოვ...
თათვის და 10 მან. ქალაქში მცხოვრებთათვის
ფასის განაწილება იხილე ხელის-მოწერის განცხ...
ბაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 декабря 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობ...